საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორებს:

1. ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივას
აღმასრულებელ დირექტორს, ნინო გეჯარაიძეს

მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. N27/29,
მე-2 სართული; ტელ: 222 38 74

2. ზაზა წიკლაურს (პ/ნ 01009009436)
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას V კვ; I კორპ; ბ.N43
ტელეფონი: 599235105

3. შოთა ბუჩუკურს (პ/ნ 01001057065)
მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის 3ᵒ მ/რ; კორპ. 14; ბ.42
ტელეფონი: 599321170

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საქართველოს მთავრობის სახელზე 2016 წლის 14 ივლისს წარმოდგენილია თქვენი ერთობლივი N25354 ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც ითხოვს „შპს „ენერგოტრანსი"-500 კვ. ბაბვის ენანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისი No-260 ბრძანების ბათილად ცნობას, ამასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელ დირექტორის, ნინო გეჯარაიძის მიერ წარმოდგენილია N36797 წერილობითი კორესპონდენცია, რომელსაც თან ერთვის N25354 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით დამატებითი დოკუმენტაცია ამასთან მოითხოვნილია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შესახებ თარიღის მითითება.

წარმოდგენილი N25354 ადმინისტრაციულ საჩივარსა და N36797 კორესპონდენციაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ „ეკოლოგიური

ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელს უფლება აქვს ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული დავის წამოჭრის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს. მითითებული ნორმის გათვალისწინებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 მაისი №-260 ბრძანების კანონიერების საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება სასამართლოს კომპეტენციას, შესაბამისად სადავო აქტთან დაკავშირებით სამართლებრივი დავა უნდა გადაწყდეს სასამართლო წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლისა და მე-80 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თქვენი მიმდინარე წლის 14 ივლისის №25354 ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

პატივისცემით,

სოფიო სიჭინავა

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

№37068
10.10.2016